



ახალი რედაქცია დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება №01-21 08.05.2023

რექტორი  კ. ხვედელიძე



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის
თანამდებობრივი ინსტრუქცია

ნდ №2-010301- 08 - 07

შინაარსი

პრეამბულა: გავრცელების სფერო, ნორმატიული საფუძვლები, ძირითადი განმარტებები და შემოკლებები	3
მუხლი 1. ზოგადი დებულებები	4
მუხლი 2. ვალდებულებები	5
მუხლი 3. უფლებები	6
მუხლი 4. პასუხისმგებლობა	7
მუხლი 5. დანართები	7
მუხლი 6. თანამდებობრივი ინსტრუქციის საჯაროობა/კონფიდენციალურობა	7
მუხლი 7. დასკვნითი დებულებები	7
ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი	8

პრეამბულა

1. წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქცია ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დამტკიცების აქტით;
2. თანამდებობრივ ინსტრუქციას და მასში შესატან ცვლილებებს შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, ფაკულტეტ(ებ)ის დეკან(ები), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს იურისტი და სხვა პირები (საჭიროებისამებრ). სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებას და საბოლოო პროექტის მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ცვლილება შეიძლება განხორციელდეს, თუ ცვლილების შინაარსი არ მოდის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან, ბნსუ-ს წესდებასთან, არსებითად არ ცვლის ბნსუ-ს მარეგულირებელი დებულებებით დადგენილ უფლებამოსილებებს;
3. თანამდებობრივ ინსტრუქციაში ცვლილებები მუშავდება ბნსუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ინსტრუქციის გამოყენების შედეგების, საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს ინსტრუქცია;
4. თანამდებობრივ ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანას აკონტროლებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
5. თანამდებობრივი ინსტრუქციის ორიგინალი (ელ. ვერსიის სახით) ინახება ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ. ვერსია), ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან (ელ. ვერსია) და ფაკულტეტის დეკანთან (ელ. ვერსია).

გავრცელების სფერო

1. წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქცია განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებებს, უფლებებს და პასუხისმგებლობას;
2. წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქცია წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის.

ნორმატიული საფუძვლები

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
5. საქართველოს შრომის კოდექსი;
6. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ;
7. განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონები: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, „უმადლესი განათლების შესახებ“; განათლების სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე აქტები და სტანდარტები;
8. ISO 9001-2015 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. მოთხოვნები;
9. ISO 9000-2015 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. ლექსიკონი;
10. European Standards and Guidelines (ESG-2015);
11. ნდ №2-010101 - ბნსუ-ის წესდება;
12. ნდ №2-030101 - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება;
13. ნდ №2-010102 - ბნსუ-ის შინაგანაწესი;
14. ნდ №2-020101 - ბნსუ-ის ხარისხის სახელმძღვანელო;
15. ნდ №2-020101-01 - დოკუმენტების მართვის პროცედურა.

ძირითადი განმარტებები და შემოკლებები

- შიდა ნორმატიული დოკუმენტი - ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;
- დოკუმენტის ორიგინალი - დოკუმენტის ეგზემპლარი, რომელსაც გააჩნია დოკუმენტის ხელმოწერის უფლებამოსილი პირის ორიგინალი ხელწერა;
- აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;
- თანამდებობრივი ინსტრუქცია - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;
- სტრუქტურული ერთეულის დებულება - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის უზან ან მიმართულებას, ქვედანაყოფის ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ინსტრუქციას;
- სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო პროგრამაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო / სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;
- ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“;
- ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
- ESG - European Standards and Guidelines;
- ENQA - European Network for Quality Assurance;
- ხს - ხარისხის სისტემა;
- ნდ - ნორმატიული დოკუმენტი;
- შნდ - შიდა ნორმატიული დოკუმენტი;
- გნდ - გარე ნორმატიული დოკუმენტი.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) ხელმძღვანელის (შემდგომში - პროგრამის ხელმძღვანელი) კანდიდატურას ამტკიცებს აკადემიური საბჭო. პროგრამის ხელმძღვანელი ინიშნება და თავისუფლდება რექტორის ბრძანებით;
2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები: პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 01 წლის გამოცდილება; მისი კომპეტენცია შეიძლება დასტურდეს დოქტორის აკადემიური/მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით და/ან პროფესიული/პრაქტიკული გამოცდილებით და/ან ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული/გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით/პუბლიკაციებით (სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში - აუცილებელია დოქტორის აკადემიური/მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი და კვლევის გამოცდილება). ბნსუ უფლებამოსილია დაახუსტოს მითითებული და/ან დაადგინოს სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
3. ბნსუ-ს აკადემიური პერსონალის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელობა არის ნებაყოფილობითი და ითვლება დამატებით აკადემიურ პასუხისმგებლობად, რომელსაც ასრულებს ბნსუ-ს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბნსუ-ს მოწვეული (პროგრამის შესაბამისი დარგის) სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
4. პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი), რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ მითითებულ მოთხოვნებს (გარდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 01 წლის გამოცდილების მითხოვნისა);
5. პროგრამის ხელმძღვანელის ხანგრძლივი არყოფნის შემთხვევაში (ხანგრძლივი ავადმყოფობა, მკურნალობა, მივლინება, სხვ.) მის მოვალეობებს დროებით ასრულებს პროგრამის თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ფაკულტეტის დეკანის მიერ ბნსუ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალისაგან შერჩეული პროგრამის შესაბამისი დარგის სპეციალისტი - პირი, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის ხელმძღვანელისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო პირობებს.
6. პროგრამის ხელმძღვანელის ვაკანსიის პირობებში მისი ფუნქციები შეიძლება დროებით შეასრულოს პროგრამის თანახელმძღვანელმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან რექტორის ბრძანებით განსაზღვრულმა პირმა - ბნსუ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალისაგან შერჩეულმა დარგის სპეციალისტმა ან გარე პირმა - კონსულტანტმა, რომლის კომპეტენციები (საკვალიფიკაციო მოთხოვნები) არ უნდა იყოს პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებულ მოთხოვნებზე ნაკლები;
7. პროგრამის ხელმძღვანელს შეუძლია უარი თქვას პროგრამის ხელმძღვანელობაზე, ამ მიზნით მან განცხადებით უნდა მიმართოს აკადემიურ საბჭოს (აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს - რექტორს). პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი: პირადი განცხადება, პირის მიერ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციის არასათანადოდ შესრულება, ქვევის წესების ან აკადემიური ეთიკის კოდექსის დარღვევა, შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა/ვადამდე შეწყვეტა;
8. პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს: უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა; ბნსუ-ს მისია, პრიორიტეტები, სტრუქტურა, ქვევის და სხვა მოქმედი წესები; ბნსუ-ს შინაგანაწესი; ბნსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება და უმაღლესი განათლების სფეროში ბნსუ-ში სხვა მოქმედი დებულებები/წესები/ინსტრუქციები; წინამდებარე ინსტრუქცია.
9. პროგრამის ხელმძღვანელი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, საერთაშორისო კონვენციებით, ბნსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, უმაღლესი განათლების სფეროში ბნსუ-ში მოქმედი დებულებებით/წესებით/ინსტრუქციებით, ბნსუ-ს პარტნიორთა კრების, აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოების გადაწყვეტილებებით, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერის და ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალური აქტებით და წინამდებარე ინსტრუქციით და მასში მითითებული მარეგულირებელი წესებით;
9. პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ამოცანაა ბნსუ-ს საქმიანობის კონკურენტუნარიანობისა და განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობისა და განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანობისა და თანმიმდევრული განვითარება შრომის და განათლების ბაზრის მოთხოვნებისა და ბნსუ-ს მისიის, ხედვისა და სტრატეგიის გათვალისწინებით;
10. პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი, ხოლო შედეგებს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო. პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის უარყოფითი შეფასების (განსაკუთრებით, გარე შეფასებების შედეგების) ან რამდენიმე წლის განმავლობაში შეფასების მაჩვენებლების კლების შემთხვევაში საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო, რომელმაც შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ (აღნიშნული გადაწყვეტილება არ ნიშნავს პირისთვის აკადემიურ თანამდებობის/აფილირების ან/და შრომითი ურთიერთობების შეწყვეტას - აღნიშნულ საკითხებზე საჭიროების შემთხვევაში მიიღება ცალკე რეკომენდაცია);
11. პროგრამის ხელმძღვანელის შეფასება მიმდინარეობს ყოველწლიურად, გულისხმობს როგორც ერთი წლის შედეგების შეფასებას, ისე დინამიკის შესწავლას - ორი წლის შედეგების შედარებას. შეფასების მინიმალური დასაშვები ზღვარი - მაქსიმალური შესაძლო ქულის არანაკლებ 51%, შეფასების კრიტერიუმებად შეიძლება იყოს გამოყენებული, მაგ.:

შეფასების კომპონენტი	შეფასების სისტემა და კრიტერიუმები
საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინება - უცხოეთის უსდ-ების ანალოგიური პროგრამების შესწავლა-ანალიზი, პროგრამის განვითარებისათვის შედეგების გამოყენება	არსებობის შემთხვევაში „+1“ ქულა
პროგრამის გარე შეფასების შედეგები	დადებითი შეფასების შემთხვევაში „+1“ ქულა / უარყოფითი შეფასების შემთხვევაში „-1“ ქულა
პროგრამის შიდა შეფასების შედეგები	დადებითი შეფასების შემთხვევაში „+1“ ქულა / უარყოფითი შეფასების შემთხვევაში „-1“ ქულა
პროგრამის შინაარსით და პროგრამის განხორციელებით დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების დონე	არანაკლებ 51%-ის შემთხვევაში „+1“ ქულა / 50%-ზე ნაკლების შემთხვევაში „-1“ ქულა
პროგრამის შინაარსით და პროგრამის განხორციელებით დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების დინამიკა	ზრდის შემთხვევაში „+1“ ქულა / შემცირების შემთხვევაში „-1“ ქულა



პროგრამის სრულყოფის პროცესში პოტენციურ დამსაქმებელთა/დარგის სპეციალისტთა ჩართულობა	ზრდის შემთხვევაში „+1“ ქულა / შემცირების შემთხვევაში „-1“ ქულა
პროგრამის სრულყოფაზე/განვითარებაზე მიმართული აქტივობები	ზრდის შემთხვევაში „+1“ ქულა / შემცირების ან არარსებობის შემთხვევაში „-1“ ქულა
პროგრამის შინაარსთან/განხორციელებასთან დაკავშირებული ობიექტური საჩივრების რაოდენობა	საჩივრების არარსებობა „+1 ქულა“ / თითოეული დასაბუთებული საჩივარი „-1“ ქულა
საინფორმაციო ღიაობა (პროგრამის და მისი კომპონენტების, პროგრამის სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში - დაინტერესებული მხარეების კონსულტირება)	პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა „+1“ ქულა / ინფორმაციის არარსებობა ან არადროულად ბნსუ-ს ვებგვერდზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სილაბუსების განთავსება „-1“ ქულა
საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობა	შიდა/გარე შეფასებით დადასტურებული შესაბამისობა „+1“ ქულა / თუნდაც ერთი შეუსაბამობა „-1“ ქულა
ბნსუ-ში მოქმედ დებულებებთან/წესებთან პროგრამის შესაბამისობა	შიდა/გარე შეფასებით დადასტურებული შესაბამისობა „+1“ ქულა / თუნდაც ერთი შეუსაბამობა „-1“ ქულა
პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრება	ზრდის შემთხვევაში „+1“ ქულა / შემცირების შემთხვევაში „-1“ ქულა
პროგრამის დაძლევის მაჩვენებელი (სამიზნე ნიშნულების მიღწევა)	ზრდის შემთხვევაში „+1“ ქულა / შემცირების შემთხვევაში „-1“ ქულა
პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა	ზრდის შემთხვევაში „+1“ ქულა / შემცირების შემთხვევაში „-1“ ქულა
დადგენილ ვადაში პროგრამის დასრულების მაჩვენებელი - დამამთავრებელი სემესტრისა და კურსდამთავრებულთა თანაფარდობა	კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში „+1“ ქულა / შემცირების შემთხვევაში „-1“ ქულა
პროგრამისთვის პერსონალის მიერ მომზადებული/განახლებული სალექციო/სასწავლო მასალები, სხვ.)	ზრდის შემთხვევაში „+1“ ქულა / შემცირების შემთხვევაში „-1“ ქულა
პროგრამის სტუდენტების კომპეტენციების სრულყოფაზე მიმართული საქმიანობა (სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო/პრაქტიკულ პროექტებში, სტუდენტებისთვის ჩატარებული მასტერკლასები, სხვ.)	ზრდის შემთხვევაში „+1“ ქულა / შემცირების ან არარსებობის შემთხვევაში „-1“ ქულა
პროგრამის რეიტინგი	ზრდის შემთხვევაში „+1“ ქულა / შემცირების შემთხვევაში „-1“ ქულა
საკუთარი კომპეტენციების სრულყოფაზე მიმართული საქმიანობა (ნაშრომები/პუბლიკაციები, პროექტებში ჩართულობა, სამეცნიერო/ დარგობრივ კონფერენციებში/ტრენინგებში მონაწილეობა, სხვ.)	ზრდის შემთხვევაში „+1“ ქულა / შემცირების ან არარსებობის შემთხვევაში „-1“ ქულა
პროგრამის ხელმძღვანელის პირადი რეიტინგი (მათ შორის, პროგრამის პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვების საფუძველზე)	ზრდის შემთხვევაში „+1“ ქულა / შემცირების შემთხვევაში „-1“ ქულა
წინამდებარე ინსტრუქციით ან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მარეგულირებელი/მეთოდოლოგიური წესებით/დებულებებით/სხვ. გათვალისწინებული (პროგრამის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან, განვითარებასთან დაკავშირებული) სხვა ფუნქციების შესრულება	სრულად შესრულების შემთხვევაში „+1“ ქულა / არასრულად შესრულების შემთხვევაში „-1“ ქულა

- პროგრამის ხელმძღვანელის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, შრომითი ხელშეკრულებით, ბნსუ-ს შინაგანაწესით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი/მეთოდოლოგიური დოკუმენტებით და წინამდებარე ინსტრუქციით;
- პროგრამის ხელმძღვანელი თანაშრომლობს ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ყოველდღიურ საქმიანობაში ექვემდებარება საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანს და ანგარიშვალდებულია რექტორის, აკადემიური საბჭოს, ფაკულტეტის დეკანისა და ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

მუხლი 2. ვალდებულებები

- პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია:
 - იცოდეს ბნსუ-ს მისია, განვითარების სტრატეგია, სტრატეგიული და საგანმანათლებლო პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები, მოთხოვნები განათლებისა და ხარისხის სფეროში, ბნსუ-ში მოქმედი მარეგულირებელი დებულებები/წესები;
 - დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები;
 - იცოდეს და დაიცვას ბნსუ-ში არსებული ხარისხის სისტემის მოთხოვნები და სტანდარტები;
 - შეასრულოს ბნსუ-ში მოქმედი ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსი და ქცევის წესები, ბნსუ-ში მოქმედი შინაგანაწესის, მარეგულირებელი დებულებების/წესების და წინამდებარე ინსტრუქციის მოთხოვნები;
 - შეასრულოს ბნსუ-ში მოქმედი მარეგულირებელი დებულებების/წესების მოთხოვნები, პარტნიორთა კრების, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის, ფაკულტეტის დეკანის, აკადემიური, წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოების გადაწყვეტილებები;
 - შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებები, მათ შორის უზრუნველყოს ბნსუ-ში მოქმედი ხარისხის სისტემის და მოთხოვნების შესრულება;
 - სამსახურებრივი კომპეტენციების შესაბამისად უზრუნველყოს ბნსუ-ს შეუფერხებელი საქმიანობა და ბნსუ-ში მოქმედი მარეგულირებელი დებულებების/წესების შესრულება;

8. თავისი კომპეტენციის ფარგლებში დროულად მოახდინოს დარღვევებზე რეაგირება, საჭიროების შემთხვევაში მიმართოს ფაკულტეტის დეკანს, შექმნას სამუშაო ჯგუფები, უზრუნველყოფს მათი მუშაობის და გადაწყვეტილებების სამართლიანობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა;
 9. კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს მონაწილეობა ბნსუ ხარისხის შიდა და გარე შემოწმებისათვის მომზადების პროცესში;
 10. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს პროგრამის სტუდენტთა ჩართულობას კურიკულუმისგან დამოუკიდებელ საქმიანობაში და კვლევითი და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება-სრულყოფას;
 11. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს მონაწილეობა პროგრამის სტუდენტთა და განმახორციელებელი პერსონალის ან სხვა დაინტერესებული პირის განცხადებების განხილვაში და პასუხის მომზადებაში;
 12. კონტროლი გაუწიოს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის, ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას;
 13. უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის მომზადება, ანალიზი, შემოწმება და შეთანხმება, რაზეც პასუხისმგებელია სამსახურებრივი უფლებამოსილებებიდან გამომდინარე;
 14. რექტორის/ფაკულტეტის დეკანის/აკადემიური საბჭოს/ფაკულტეტის საბჭოს მოთხოვნისთანავე მოამზადოს და წარადგინოს შესაბამისი ინფორმაცია, ანგარიში, განმარტებითი/სამსახურებრივი ბარათი, სხვ.;
 15. უზრუნველყოს პროგრამის შესახებ ინფორმაციის დროულად მომზადება ბნსუ-ს ვებგვერდზე განსათავსებლად;
 16. მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ში ჩატარებულ ატესტაციებში, გამოკითხვებში და ღონისძიებებში;
 17. პირადად შეასრულოს წინამდებარე ინსტრუქციით, შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა აიღოს განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე.
2. პროგრამის ხელმძღვანელი:
1. კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ბნსუ-ში ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნების შესაბამისად ხარისხის სისტემის დანერგვაში;
 2. კურირებს პროგრამის განხორციელებას, მათ შორის პროგრამის განმახორციელებთა (შემდგომში - პროგრამის პერსონალი) საქმიანობას, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს პროგრამის მდგრადობისთვის/განვითარებისთვის აუცილებელი მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის კონტროლის პროცესში;
 3. კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს შესაბამისი დარგის ორგანიზაციებთან, დარგის სპეციალისტებთან, ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
 4. შეისწავლის საუკეთესო პრაქტიკებს, დარგში არსებულ სიახლეებს, პოტენციურ დამსაქმებელთა და დარგის სპეციალისტთა მოსაზრებებს, ბნსუ-ში ჩატარებული გამოკითხვების შედეგებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებს და აღნიშნულს გააცნობს პროგრამის განმახორციელებლებს;
 5. ახდენს პროგრამის სისტემატურ ანალიზს (არანაკლებ წელიწადში ერთხელ), ადგენს/გეგმავს პროგრამის/პროგრამის განხორციელების გაუმჯობესების მიმართულებებს/გზებს, შეიმუშავებს დასკვნებს, რეკომენდაციებს, სხვ. შეიძლება იყოს მოქმედი პროგრამის მოდიფიცირების და ახალი პროგრამის შემუშავების ინიციატორი;
 6. ორგანიზებას უწყევს პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების პროცესს, ქმნის სამუშაო ჯგუფ(ებ)ს პროგრამის მოდიფიცირების /პროგრამაში ცვლილებების შემუშავების მიზნით და ხელმძღვანელობს პროგრამის მოდიფიცირების პროცესს;
 7. მონაწილეობს პროგრამის შემუშავებაში/მოდიფიცირებაში და შეფასებაში, უზრუნველყოფს პროგრამის შეფასების, დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების მაქსიმალურ ჩართულობას სხვადასხვა ფორმით. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ახორციელებს/გეგმავს ცვლილებებს ფაკულტეტთან თანამშრომლობით;
 8. დახმარებას და კონსულტაციას უწყევს სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს პროგრამის თავისებურებებთან და მის განხორციელებასთან დაკავშირებით და სხვ.;
 9. პასუხისმგებელია ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაზე და განხორციელებაზე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა აკადემიურ მხარდაჭერაზე;
 10. კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს პოტენციური სტუდენტების მოზიდვის აქტივობებში, ბნსუ-ს სტუდენტთა ხელშეწყობის პროექტებში და ხელს უწყობს პროგრამის სტუდენტების ინტეგრაციას კარიერული განვითარების სამსახურთან;
 11. თანამშრომლობს ფაკულტეტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ბნსუ-ს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ახორციელებს ინფორმაციის მოთხოვნასა და გაცვლას.
 12. ასრულებს სხვა საქმიანობას, რომლებიც გამომდინარეობს/დაკავშირებულია მის ძირითად ამოცანებთან და ფუნქციებთან.
 13. მონაწილეობს ანონიმური გამოკითხვის ჩატარების, კითხვარების შემუშავების, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემოწმების (შიდა შეფასების) და თვითშეფასების კითხვარის/თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის მომზადების პროცესში;
 14. უზრუნველყოფს საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას;
 15. მოქმედებს ბნსუ-ს სამოქმედო გეგმების, ბნსუ-ში მოქმედი ინსტრუქციების, რეკომენდაციების, წესების და სხვ. შესაბამისად.
 16. საქმიანობის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში ხელმძღვანელობს რისკებზე ორიენტირებული აზროვნების მოთხოვნებით.

მუხლი 3. უფლებები

1. პროგრამის ხელმძღვანელს უფლება აქვს:
 1. აირჩიოს/იყოს არჩეული ბნსუ-ს მართვის ორგანოებში; იყოს მართვის ორგანოების და ბნსუ-ში შექმნილი კომისიების წევრი;
 2. მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში;
 3. მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ში ჩატარებულ არჩევნებში, გამოკითხვებში, ღონისძიებებში, პროექტებში, სხვ.;
 4. გაეცნოს ბნსუ-ს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების პროექტებს, რომლებიც ეხება მის საქმიანობას;
 5. წარუდგინოს ხელმძღვანელობას წინადადებები მის ვალდებულებებთან დაკავშირებული სამუშაოების სრულყოფისათვის;
 6. მოსთხოვოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და ბნსუ-ს პერსონალს ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა მისი მოვალეობების შესასრულებლად;
 7. გამოთქვას მოსაზრებები და შეიმუშაოს წინადადებები ბნსუ-ს მართვასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით;
 8. დაკავდეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობით;
 9. წარმოადგინოს ბნსუ დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას;

ნდ №2-010301-08-07	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება № 01-21 08.05.2023	6-5
--------------------	-----------	--	-----

10. შეფასოს ბნსუ-ში არსებული მდგომარეობა, შეიმუშავოს შესაბამისი ღონისძიებები/წინადადებები;
11. მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს სტრატეგიის შემუშავებაში, პრიორიტეტების განსაზღვრაში, პერსონალის მართვის პოლიტიკის შემუშავებაში და იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც მიეკუთვნება მისი კომპეტენციის სფეროს, ეხება ბნსუ-ს მართვას, განვითარებას და ფუნქციონირებას;
12. მისცეს მითითება და რეკომენდაცია პროგრამის ყველა განმახორციელებელს;
13. დაამყაროს ურთიერთობები სტუდენტთა პოტენციურ დამსაქმებლებთან კურიკულუმისგან დამოუკიდებელ საქმიანობაში სტუდენტთა ჩართულობის და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება-სრულყოფის მიზნით, შეიმუშავოს რეკომენდაციები დარგის დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების, მემორანდუმებისა და სხვ. თაობაზე;
14. მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხების განხილვაში, შეიმუშავოს რეკომენდაციები გაცვლითი პროგრამების შემუშავების თაობაზე, შეიმუშავოს რეკომენდაციები სასწავლო პროცესის ორგანიზების გაუმჯობესების მიზნით;
15. შეიმუშავოს და განსახილველად წარმოადგინოს ცვლილებები შესაბამის პროგრამაში, მოდიფიცირებული პროგრამა;
16. შეიმუშავოს წინადადებები და რეკომენდაციები ბნსუ-ს მართვის და საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფის მიზნით, მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს საკადრო პოლიტიკის და განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში და სხვ.;
17. მოითხოვოს თავისი საქმიანობის ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ასევე დახმარების გაწევა მისი თანამდებობრივი მოვალეობების და უფლებების შესრულებაში;
18. მოითხოვოს ხელმძღვანელობისაგან შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულება, შრომის სათანადო პირობების შექმნა და დახმარების გაწევა თავისი თანამდებობრივი ვალდებულებებისა და უფლებების შესრულებისათვის;
19. მოითხოვოს სათანადო სამუშაო პირობების შექმნა და შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება, შრომითი ხელშეკრულებით და ბნსუ-ს შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესრულება;
20. განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა

1. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია გაეცნოს ბნსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ (საჯარო ინფორმირება) და/ან ბნსუ-ს ოფიციალური ელ. ფოსტით გამოგზავნილ (პირადი ინფორმირება) ინფორმაციას და შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები, რომელთა არცოდნა არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან;
2. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია:
 1. ბნსუ-ს შინაგანაწესით, და სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, შრომითი ხელშეკრულებით და წინამდებარე ინსტრუქციით დაკისრებული მოვალეობების დროულ და ხარისხიან შესრულებაზე;
 2. შრომითი დისციპლინის, შრომის შინაგანაწესის, ქვევის წესების, ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსის დაცვაზე;
 3. თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში კანონიერების დაცვაზე;
 4. ხარისხის უზრუნველყოფასა და საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მიხედვით ხარისხის სისტემის მოთხოვნების დაცვაზე;
 5. არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე.

მუხლი 5. დანართები

1. წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქციის დანართები (არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს თანამდებობრივი ინსტრუქციის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 6. თანამდებობრივი ინსტრუქციის საჯაროობა/კონფიდენციალურობა

1. წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქცია, ასევე არსებობის შემთხვევაში - მისი დანართები და წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული ფორმები, საჯაროა;
2. ბნსუ-ს პერსონალი, ბნსუ-ში სხვა დასაქმებული პირები, ბნსუ-ს სწავლის სუბიექტები უფლებამოსილი არიან გაეცნონ წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქციას, ბნსუ ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქციის გაცნობის შესაძლებლობა.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქციის ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქციის ძალაში შესვლამდე მოქმედი ინსტრუქციები/დებულებები/წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქციით გათვალისწინებულ საკითხებს;
2. წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს პარტნიორთა კრება, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ბნსუ-ს იურისტი;
3. წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით;
4. წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქციაში მუხლებს წანამდვრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცველად ან განმმარტებლად;
5. წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქციაში რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება თანამდებობრივი ინსტრუქციის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
6. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქციაში, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და ბნსუ-ს წესდებით;
7. წინამდებარე წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქცია ძალას კარგავს ახალი თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შემთხვევაში.



ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი